№ 54 მარტის 12, სამშაბათი. 1866—1885 მარტის 12, სამშაბათი. № 54

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ. 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული ტკბასასკნელი გვერდი 25 მანეთი; პირველი 50 მან. რეცენზიები სტრიქონისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

„დროების“ ფასი მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე 8 მანეთი, სოფლის მასწავლებელთათვის 6 მანეთი.

წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შეეამხადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ, „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება **რვა მანათიდამ თოჩამეტ მანათამდე**, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს, ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი «ვეფხის-ტყაოსნის» გამომცემელი

(25—1) გ. ქართველიშვილი.

შენიშნვა

მეცნიერება, როგორც თვით ჭეშმარიტება, სიცრუეს მეგობრულად ხელს ვერ გაუწვდის. იგი ვერ შეითვისებს მას, თუნდ სიცრუე შეიქმნეს ვისთვისმე სასურველი, სატრფო, სანატრელი: ნათელი მხოლოდ განფანტავს ბნელს. უკეთუ სიცრუე მიჰმართავს მეცნიერებას და სთხოვს ხელის შეწყობას, იგი ზიზღით უარ-ჰყოფს მას; უკეთუ სიცრუე თვით შეიმოსავს სამოსელს მეცნიერებისას, მეცნიერება დაუნდობლად განძარცვავს მას და გამოაქვეყნებს მისს უგვანობას, ბიწიერებას. მაგალითებრ, უკეთუ სიცრუე მოისურვებს და წამოარწყვეს: მეგრელთ და ქართველთ (თუნდ მოსკოველთ და ხარკოველი, ან კიეველთ და ავსტრიის რუსინელთ—სულ ერთია) ერთმანეთისა არაფერი ესმისთ; მათ არავითარი კავშირი არა აქვთ-რა; იგინი სხვა-და-სხვა ხალხიაო; — მაშინ მეცნიერება, თუმცა ჯერედ ზლაზვნით, მიუთითებს თუნდ მეგრულის და ქართულის ენის რაიმე მცირედს, ფრიად მცირე ნიმუშზედ და სიცრუეს გამოაშკარავებს. მაგალითებრ რომ თავისთავს და თვის სხეულის ნაწილებს ესრედ უწოდებს:

მეგრელი.	ქართველი.
ქოჩი	ქაცი.
ზისხირი, ზსხრი	სისხლი.
ჯერღვი	ძარღვი.
ტყები	ტყავი
ძვალი	ძვალი.
ხორცი	ხორცი.
თუმა	თმა.
ტვინი	ტვინი.
უფი	ოფლი.
ყუჯი	ყური.
წარი	წარბი.
თოლი	თვალი.
ჩხვინდი	ცხვირი
ქიბირი	ქბილი.
ნინა	ენა.
ლეჩქვი	ლაში, ტუჩი.
ნიკ, ნკ	ნიკაპი.
ქისერი, კსერი	ქისერი.
ხორხოტა	ყანყრატო, ხახა.
ქილე	მკლავი, კლავი.
ოშუმეში	ულვაში.
ხუჯი	მხარი.
ქიდირი, კდრი	მკერდი.
რღია	ღლია, იღლია.
ხე, ხელეფი	ხელი, ხელები.
ჩუპა, ჭიპე	უპე, ჭიპი.
ბირცხა	ბოჩხილი, ფრჩხილი
ბური	ბული.
ქუთი	ქუნთი.
ქურსი, ქური	ქუსლი და სხვანი.

[illegible]

და ამით დაანახვებს, რომ ორივ ეს ენა თითქმის ერთი და იგივეა და ნათლად აუხსნის, თუ როგორ წარმოსდგა ის მცირე განსხვავებაც, რომელსაც აქ ბოროტ-განმზრახნი შენიშნავენ! ანკიდევ,—რომ ესრედ უწოდებს თავის ნათესავებს:

მეგრელი.	ქართველი.
ნათესე	ნათესავი.
დიდა	დედა.
მუმა	მამა.
სქუა	შვილი.
და	და.
ძმა	ძმა.
ჯიმა დი	ბიძა (ძმა დიდი).
ბაბუ	ბაბუა, პაპა.
დადი	დიდედა
მუანთელი	მამამთილი.
დიანთელი	დედამთილი.
მამიდა	მამიდა.
დეიდა	დედიდა.
ძიძე	ძიძა.
ბანდელი	ბამდელი.
ნათლია	ნათლია და სხვანი.

თუ სიცრუემ იჭვნეულად გაიქნია თავი, მაშინ მეცნიერება აიღებს (იგი თან-და-თან წათამამდება) თუნდ მთლად ქართულ ლექსიკონს, დაჭყეტა თავიდამ, შეადარებს ყველა მასში მოქცეულ სიტყვებს მეგრულ სიტყვებთან და დაუმტკიცებს სიცრუეს, რომ ა) უმეტეს ნაწილად მეგრული და ქართული სიტყვები ერთნი და იგივენი არიან, ბ) ერთობ მცირეა რიცხვი იმ გვარ სიტყვათა, რომელნიც ქართულ-

ჭრელი ფელეტონი

სიცოცხლეგ ფუჭო,
უბრალო ნიჭო,
რად მოუცხარ ჩემთვის ზენასა?!.

ცოტა ცოდვა კი არის ამ დიდმარხეაში, თუ დამეთანხმები, მკითხველო, ამისთანა დაკითხვა. ცხოვრება რისთვისაც მოუცია ზენას, ეს კარგად აღსნილი და განმარტებული არის ჯერ საღმრთო წერილში და შემდეგ ფილოსოფოსებისა და პოეტებისაგან. აი, თუნდ აიღეთ ჩვენის პოეტის—ფილოსოფოსის ბატ. ან. ფურცელაძის მეცხრამეტე საუკუნის „ვეფხის-ტყაოსანი“, ეგრედ-წოდებული პოემა „თამარ ღაზნელი“. აქ რაც გინდათ, იმას შეხვდებით: პოეზიის განმარტებას, ისტორიის მნიშვნელობას, ცხოვრებაზედ ფილოსოფოსთა (გარდა თვითონ ან. ფურცელაძისა) შეხედულებას, შესავალს, გასავალს, ცეცხლს, რკინას, შანთს და სხ. და სხ... ერთის სიტყვით, ყველაფერს გარდა «ზეცით ქვეყანაზედ წარმოგზავნილის» მოაქულის პოეზიისა. მაგრამ პოეზიას თავი დავანებოთ,—ვინ პოეზია და ვინ მე და ბატ. ან. ფურცელაძე!..

საქმე ხომ ცხოვრების საგნის ცნობა და განმარტება არ არის! საქმე ის არის თუ, როგორ ესმის «ზნესა ჩემსა» ეს განმარტება. მაცხოვარმა სთქვა: გიყვარდეს მოყვასი, ვითარცა თავი თვისიო. ეს მოძღვრება პოეტმა გრ. ორბელიანმა ასე გამოსთქვა:

> რა არის ჩვენი ცხოვრება,
> თუ არა საქმე კეთილი,
> თუ არ აღვსდგენთ დაცემულს,
> არ ვქმნეთ ნუგეშ მტვ�...

ძალიან კარგი! უაბულსა ვარ; მაგრამ «ზნესა ჩემსა» ეს სიყვარული ეგება იქ ეგულების, სადაც წყვდიადია, სადაც უმეცრება სუფევს, სადაც კაცის მოთხოვნილება იმ ზომამდის მიუყვანიათ, რომ იგი პირუტყვულის კმაყოფილებითაც ბედნიერად გრძნობს თავის თავს.

***

ჩვენც, ვითომც სხვა ჯიშის ხალხი, რომელთაც იმავე პოეტმა გრ. ორბელიანმა ცრუ ლიბერალები და პატრიოტები გვიწოდა, ხელს ვუწყობთ ამ გვარს მდგომარეობას. უბედურება ეს კი არ არის, არამედ ის არის, რომ ჩვენ ამავე დროს მიგვაჩნია თავი ტანჯულებად, თუნდაც, მე-და შენ შორის იყოს, მკითხველო, არც-კი ვიცით, „თუ რაი არს ტანჯვა ესე“. მე გზა ცხოვრებისა, „გზა ეკლიანი“ კიდევ არ გამიელია, მაგრამ სხვა და სხვა ტიპის პალხს შევხვედრივარ. ყველა ეს ხალხი გრ. ორბელიანის ლექსს იმღერის და ყველას მიაჩნია, რომ «საქმე კეთილი» უქნია. ჩვენაო ეს ესცადეთო, ის ესცადეთო, საქმე გავაკეთეთო, მაგრამ მხოლოდ სასო-წარკვეთილების ბინაზე მივედითო, ამიტომ აღარა გვწამს რაო, აღარა საქმეში აქტიურს მონაწილეობას არ მივიღებთო და ბრძოლაც სისულელედ მიგვაჩნიაო. ჩადგან თანამედროვე ცხოვრება ალაბზედ და ყანთარზედ არის დამოკიდებული და ჩვენ კი ალაბისა და ყანთარის ნიჭი და მომზადებულობა არა გვაქვსო. მე ხომ ამ ყალიბის ხალხისათვის აფხაზური ბაწარი მაქვს დამაჭიგებელი და სადაც შემხვდებიან, მივაწოდებ ხოლმე,—იქნება სადმე თავი ჩამოიღრჩოს. მაგრამ ერთი თქვენცა ჰკითხეთ მათ, თუ რა ვაჟბატონები ბძანდებიან? ლაპარაკით რომ უყურო, იფიქრებ,—ცხოვრებაზე ხელ-აღებულნი არიან, ბევრი რამ გამოუცდიათო. ის კი არა, თუ ყოველთვის კარგს გუნებაზედ და შენგან მოწონებულს მადაზედ ბძანდებიან და ქალალდის თამაშობა და ქეიფი არსად გამოეპარებათ. რომ მართლა უკუთქმითის აზრებისა და იდეების მატარებელნი იყვნენ, რომ მათი ცხოვრებაზედ გულის გატეხა, ცხოვრებისა და მისის მაცდურების უარ-ყოფა ღრმა და უხუმარი იყოს, კიდევ, ჰო, ჯანი გაეარდეს; მაგრამ სასაცილოც ის არის, რომ იგინი უფრო თავიანთ თავს ატყუებენ და თვალს უხვევენ იმ ჭკუით ბავშვებს, რომელთაც უკუთქმითი მხარის შენიშნვა უფრო ეადვილებათ, ვიდრე ნამდვილი ღირსებისა, თორემ თვითონ საბრალონი არიან და ყურის აწევის ღირსნი,—აფხაზურის ბაწრის წახდენა მათთვის ხელს არ მომცემს.

***

ში და მეგრულში პირველის შეხედვით არა ჰგვანან ერთმანეთს, ბ) არარაობის სამხღვრამდე შემცირებულია რიცხვი იმ გვარ სიტყვათა, რომელნიც ლინგვისტიური ჩაკვირვების შემდეგაც ჯიუტად უარ-ჰყოფენ თავიანთ ერთგვაროობას.

თუ სიცრუე კიდევ არ დარწმუნდა, მაშინ მეცნიერება წარმოუდგენს მეგრელთ და ქართველთ გონებითს ნაწარმოებს, — ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს და სხვ., — და დაანახვებს, რომ ეს ნაწარმოებნი ერთის და იმავე ხალხის ნაწარმოებია; თუ სიცრუე გაჭირვეულდა (იქნება ამ შემთხვევაში იდიოტური ახირება გამოიჩინოს) მაშინ მეცნიერება გადუშლის ისტორიას, ეთნოგრაფიას, და სხვა და სხვა გვარ გამოკვლევებს და მათში უხვად მოფენილი უტყუარი საბუთებით გაამტყუნებს, შეარცხვენს, გააწბილებს და მიწასთან გაასწორებს მას...

ფოთი.

შინაური ქრონიკა

= ჩვენს თანამემამულეს ბ-ნს როინაშვილს, რომელიც დიდი ხანია, რაც დაღესტანში იმყოფება და იქაურ ბუნების სურათებს ფოტოგრაფიით ხატავს, მოუგროვებია საქართველოს მრავალი ძველი მანათები და ნივთები და გაუხსნია პატარა მუზეუმი ქალაქს Темирхан-Шурაში. ამ დაულალავს მშრომელს თავის საგნად ის გაუხდია, რომ ხსენებული მუზეუმი შეძლებისამებრ გაამდიდროს და მასუკან თავის სამშობლო ქვეყანაში გადმოიტანოს.

= Тბილისის ერთი ციხის ზედამხედველი ჩ—ვი ფულის შემოხარჯვისათვის დაუტუსაღებიათ

= ჩვენ მივიღეთ მე-311 №-რი გაზეთის „Востокъ“-ისა, რომელშიაც მოყვანილია საყურადღებო ცნობა გაზ. „Совр. Извѣст.“-დამ.

= Тიანეთის მაზრის უფროსის მეცადინეობით წელს საქონლის ჭირი ასცდენია Тიანეთის მაზრას. ამ მაზრაში ძლიერ ფხიზლად თურმე ეკიდებიან საქმესაო, როგორცა გვწერს ჩვენი კორესპონდენტი. Бზებზე ამოწმებენ საქონლებს და ჭირიანებს ბაზარში არ უშვებენო.

= ოფიციოზურის ორგანის — „კავკაზის“ საშუალებით ქუთაისის გუბერ. წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი თავადი ალმასხანოვი ნოყარაძე მარტის 15-სათვის მოაწყვეს ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურთ მოსალაპარაკებლად, თუ როგორ იდღესასწაულონ იმპერატრიცა ეკატერინა მეორისაგან ნაბოძების გრამატის დღეობა.

„ДРОЭБის“ КОРЕСПОНДЕНЦია

—

СОФ. РЕНЕ (ქართლი). სოფ. რენე მიწერილია სოფ. სამთაოისის სამამასახლისოზედ და ეკუთვნის Зორის მაზრას. Эს სოფელი გაშენებულია ერთს პატარა მთაზედ, რომელსაც «რენეს მთას» ეძახიან. რენეში 30 მოსახლეა: ამ რიცხვიდგან 8 მოსახლე ხიზანი და დანარჩენნი დროებით ვალდებულ გლეხებს შეადგენენ, რომელნიც საამილახეროო მამულში სცხოვრობენ. რენელების სახნავ-სათეს მინდორს შეადგენს «სარენოо», რომელმაც პურის, ქერის მოსავალი ძლიერ კარგი იცის. რაც შეეხება ვაზის გაშენებას, ბოსტნეულობის მოყვანას — რენელები სრულებით არ მისდევენ, რადგანაც სარწყავი წყალი არა აქვთ, გარდა პატარა-პატარა წყაროებისა.

რენე მოშორებულია ბევრს დიდ-რონს სოფლებს, მაგალითად სამთაოისს, ქასპსა და ქვემო-ჭალას, სადაც არსებობს სასოფლო სკოლა, და ამიტომ რენელები ჯერ-ჯერობით მოკლებულნი არიან სწავლა-განათლებას. Тითონ სოფელი იმ ნაირ სადგილზედ არის გაშენებული, რომ ძნელად მოჰხვდება მას იმისთანა კაცი, რომელსაც შეეძლოს რაიმე სასიკეთო გავლენა მათზედ. Эს კი უნდა ვსთქვათ, რომ მომავალ წელიწადებში, უეჭველია რენელებიც არ ჩამორჩებიან ქვემო-ჭალელებს ყმაწვილების აღზრდაში (ქვემო-ჭალის სკოლა რენელებსაც ეკუთვნის) და სწავლას აქაც შემოიღებენ.

Тუმცა სოფ. რენე ჩამორჩენილია სხვა დიდრონ სოფლებს სწავლა-განათლების გავრცელებაში, ვაზის გაშენებაში, ბოსტნეულობის მოყვანაში, მაგრამ არ ჩამორჩა იგი სხვა სოფლებს ავადმყოფობის — ყვავილის გავრცელებაში.

Тუმცა ეს სენი შარშანდელს აქეთ საზოგადოდ ყველა სოფლებში მძვინვარებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ზოგიერთებში ჯერ-ჯერობით ძირიანად ამოიფხვრა, ზოგგან ფერშლების — ამცრელების შემწეობით შემცირდა, თუმცა ზოგიერთა ფერშლებმა ჩირქის მაგიერ ზეითუნის ზეთით დაიწყეს აცრა (არ ვიცით, რა მიზეზის გამო) და სანუგეშებლად ხალხისა წასელის დროს შემდეგი დარიგება მისცეს: „ვინც მოკვდეს, საფლავი საჭეხ-ხახევაოზედ გაუთხარეთოო“. მაგრამ რენელების საუბედუროდ არამც თუ სენი მოისპო, ანუ შემცირდა, არამედ მას დაერთო მეორე, უფრო მომეტებულ ხარჯის მკრეფავი სენი — სახადი (тифъ), რომელმაც ამ მცირე ხანში იმსხვერპლა ხუთი თუ ექვსი ცოლ-შვილიანი ვაჟკაცი და რამდენიმე წვრილი ბავშვი. ზოგიც იმისთანა ვაჟ-კაცი გამოასალმა სახადმა ამ წუთი-სოფელს, რომლის მეტი არავინ იყო ოჯახში და დარჩენენ ულუკმა-პუროდ და უნუგეშოდ წვრილი ობლები. ამ გვარ უბედურობაში ჩაცვინული რენელები ერთი ერთმანეთს აღარ ეკარებიან გაჭირებაში, ესე იგი მიცვალებულის დამარხვის დროს. ამას წინად მე მიამბო ერთმა მღვდელმა: «როდესაც მიმიწვიეს მიცვალებულის ოჯახში წესის ასასრულებლად, მიცვალებული კუბოში არ იყო ჩასვენებული, რადგანაც მის ცოლს დამხმარე არავინ გასჩენოდა და მე ჩემის კრებულით იძულებული ვიყავ ჩაგვესვენებინა კუბოში, შემდეგ ისე შეგვესრულებინა წესი და დაგვესაფლავებინა“.

Алბად ძლიერ დაუზარალებია სახადს ხალხი, რომ მეზობელი მოკლებულია თანამოძმის შემწეობას და ბევლას იმისთანა გაჭირებაში, როგორიც არის სიკვდილი.

Рადგანაც საბრალო რენელები მოკლებულნი არიან მეზობლებისა და ექიმების დახმარებას, თქვენ მაინც არის, ნუ მოაკლებთ შემწეობას სიკვდილისაგან განახევრებულს ხალხს და თქვენი პატივცემული გაზ. „ДРОЭБის“ საშუალებით გამოუცხადეთ, რომ არის იმისთანა სოფელი Зорის მაზრაში, რომელიც გაანახევრა ჯერ ყვავილმა და დანარჩენებს სიცოცხლეს სახადი უსწრაფებს. Исიც გამოაცხადეთ, რომ სასურველია, — თუ აქამდის არ ეღირსათ ეხლა მაინც ეღირსოთ ექიმები, რომელნიც ცოტაც არის მაინც ჩააგონებენ ხალხს, თუ რა საშუალება უნდა იხმარონ სენის მოსასპობლად და ამ გვარი შემწეობით ზოგნი მაინც არის დაიხსნან უდროო სიკვდილისაგან...

ქვემო-ჭალის მასწავლებელი
ნიკ. ლეონიძე.

სხვა ჯიშის ხალხიც მინახავს. მაგრამ ჯერ უნდა ვსთქვათ, რომ ყველა ესენი, რომელს ჯიშსა და მოდგმასაც უნდა ეკუთვნოდენ, უფრო თავიანთ თავს ატყუებენ. Исინი გრძნობენ, რომ მათი საქციელი არ ეთანხმება იმ კაცურს აზრებს, რომელნიც მათ გაუგონიათ და იქნება შეუთვისებიათ კიდეც თავიანთ პროფესორებისაგან მეცნიერების ტაძარში და ამიტომ მეცადინეობენ სხვა-და-სხვა სოფიზმით, რომ ბატივით (შედარებისათვის ნურას უკაცრავად) ტანიც დაიბანონ, მაგრამ დასველებით კი არ დასველდენ. Да რადგან კაცი, რაც უნდა იყოს, კაცია და არა ბატი, ამიტომ წყლიდგან დაუსველებელი ვერ ამოდის. Аი, თუ არა: ზემორე ამისა აღნიშნულის ჯიშის ეაჟბატონები გვეუბნებიან: საზოგადო საქმეში ან აქტიური მონაწილეობა უნდა მივიღოთ და ან სულ გვერდზედ უნდა გავსდგეთ. Эს სხვა რამ უბრალო არ გეგონოთ, — პრინციპიალური შეხედულება არისო. ძაგრამ რადგან სხვათა და სხვათა მიზეზთა და გარემოებათაგამო აქტიური მონაწილეობის მილება არ ძალ-მიძს, ამიტომ არც სხვა გვარ მონაწილეობას ვიღებო; უბრალოდ და მდაბიურად რომ ესთქვათ, — რომელიმე კეთილის საქმისათვის ფულს არ შემოვიტანო. ჩამოღერღა და ის არ-ს. Эს ჩამოღერღვა კიდევ იმას ნიშნავს, რომ თუ კალატოზი არა ვარ, რომ შენობა ავაგო, არც აშენებისათვის მასალას მივზიდავო... ამ პრინციპიალურს შეხედულებაში თუ რა ყალიბის პრინციპია, ყველა მიხვდება და ამიტომ განმარტებად არა ღირს. ზოგიერთი კი კიდევ იმას ამბობს, რომ ნიადაგი არ არის მომზადებულიო, ეგრედ-წოდებული ძველი თაობა(?!) არ გვიკარებსო(?!!), ჩვენთან გაცნობა არ უნდაო(?!!!) და სხვ. და სხვ.... ეი ბატონო, თურმე მზა-მზარეულად რომ არ გაუშლიათ მათთვის სუფრა, მიტომ სადილის ჭამასაც არა ნებულობენ... Тუკი ნიადაგიც მზად იყოს, თუკი სუფრაც გაშლილი იყოს, მაშინ ხომ იმათ კი არა, ხიდთა და ბოგირთა გლახაკებს მოვიწვევდით... მაგრამ რას ვლაპარაკობ! აქ ხომ სულ თავის გამართლება გამოიჭვიტება, და თავის გამართლება ხომ დამნაშავეს ეჭირვება; თორემ შეგვიძლია ერთის ჩვენის პატივცემულის ძოლვაწის სიტყვები მივახალოთ მათ პირში: თუ კი ვილაც-ვილაცა ჩინოსანთა და კავალეროსანთა ებრუხანა სიდედრებს იცნობენ და მათთან პამპულაობენ და ფინიასავით უკანა ფეხებზედ სდგებიან, იქნება „შემოსავლიანი ადგილი“ გამოგვითხოვონო, განა იმ ვილაც მათკანვე მოგონილს ძველ-თაობასთან ვერ მოახერხებენ დაახლოებას?!.

Ან და ვითომ ეს პრინციპიალური შეხედულება უნდა იყოს რამოდენიმე თუმნის ერთ სალამოს წაგება ქალალდში, როდესაც ეს პრინციპი ნებას არ გაძლევს ორი-სამი მანათი შეეტანო საზოგადო კეთილ-შობილურის საქმისათვის?! მაგრამ მახლასო, რომ იტყვიან, ის არის!..

***

Дიალ, სულ მახლას და მახლას და მთლად ჩვენი ცხოვრებაც მახლას! Ან და რა არის ჩვენი ცხოვრება, და ან თვითონ რა ვართ ჩვენ. ჰაი, ჰაი, რომ ძნელია ამ დაკითხვის პასუხი და თან წამოსაწითლებელიც, ვისაც კი წამოწითლების ნიჭი კიდევ შერჩენია! რომ მკითხო: მე ვინა ვარო, ის ვინ არისო, მესამე ვინ არისო, — მსწრაფლად მოგიგებ, რომ შენ Иანე ხარ, ის ჰეტრე ბძანდება, მესამე სიმონი, — იმასაც ვეტყვი თუ მაინცა და მაინც ჩამაცივდები, რომ შენ ყუაწეულა ხარ, ის Иუდა, მესამე Аრაფერაძე, მაგრამ ყველანი კი ერთად ვინა ვართ, ამისი კი რა მოგახსენო. Аნ და რატომ არა, — ამასაც ვიტყვი: ჩვენ ყველანი ერთად არავინ არა ვართ. ჩვენს მაგიერად სხვები ბძანდებიან, ჩვენ კი ასე ვსთქვათ „მონათა ჯარი“ ვართ, — საითაც ცხვირს მოგვიბრუნებენ, ჩვენც იქით მივდივართ. ნეტა-კი ნაკარ-ქექიასავით მაინც გვეხერხებოდეს სადგისის ხმარება, რომ სიმძიმე გამოვიჩინოთ, თუ მართლა ნამდვილი სიმძიმე არა გვაქვს.....

გარეშე მაყურებელი.

რუსეთი

ჩვენს ბანკებზე ხშირად ისმის სამდურავი საზოგადოებაში: დარჩენილს მამულებს იაფად, წაგებით ჰყიდისო. მაგრამ ეხლა ესეც მოისმინეთ, თუ რა ამბავი ხდება რუსეთის თვით სატახტო ქალაქში, პეტერბურგში, სადაც, ეჭვი არ არის, ბევრად მეტი შეძლება უნდა ტრიალებდეს.

გასულ თებერვლის 27 მოხდარა ვაჭრობა პეტერბურგის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულს მამულებზე. $33^1/_2$ ათას მანათად დაგირავებულს სახლში, რომელიც $65^1/_2$ მან. ყოფილა დაფასებული, შეუძლევიათ, უმაღლესი ფასი, 2,000 მან.; სახლში, რომელიც 12 ათას მან. ყოფილა დაფასებული, შეუძლევიათ 1,000 მან.; 58,000 მან. დაფასებულს სახლში—5,000 მან., 10,000 მანათიანში, რომელზედაც ბანკის სესხი 8,000 მანათი ყოფილა—1,000; 70,000 მანათად ღირებულში—15,000 მან.; 205,000 მანათიანში—3,000; 15 ათასიანში—500 მან., და 70,000 მან. დაფასებულ სახლში წინანდელს დამფასებელს შეუძლევია, იქნება ხუთრობით, 60 კაპეიკი. ხელ ახალი ვაჭრობა გადადებულ იქმნა მარტის 4-ისათვისაო.

—

ნემეცურს გაზ. «Nordd. Allg. Zeit» უჩვენებს რუსეთის სამზღვრებზე გავრცელებულს პროპაგანდას, რომელსაც საგხადა აქვს ალადგინოს პოლშის დამოუკიდებლობაო. ამის შესახებ მეორე გაზ. «Nord» ამბობს—ჩვენ არ ვიცითო, აქვს თუ არა სერიოზული ხასიათი ამ ცდას, როგორც ამას ამტკიცებენ ნემეცური გაზეთები, მაგრამ ეს საქმე და ყველა ის ინტრიგები, რომელთ წყალობითაც ვილნს ეპისკოპოსი ვილნიდამ გადასახლებულ იქმნა, მოვალედ ხდის—რუსეთის მმართებლობას—ამ თავითვე მიაქციოს ყურადღება ამ ბოროტ-განძრახვას, რომ შემდეგისათვის უფრო სასტიკი ზომების მიღება არ დასჭირდესო.

—

სინოდის ობერ-პროკურორი შუამდგომლობდა ხალხის განათლების სამინისტროს წინაშე, რომ, რადგანაც საჭიროა ხალხის სარწმუნოებრივი აღზრდა გაძლიერდესო, ის ფული, რომელიც დანიშნულია სემინარიაში კურსშესრულებულ სახალხო სკოლების მასწავლებელთ სასარგებლოდ, განაწილებულ იქმნეს იმ სასულიერო პირთ შორის, რომელნიც მსახურებენ ღარიბ მრევლებში და ზრუნავენ სკოლათა შემწეობით რჯულისამებრ გონებრივად ხალხის განათლებისათვის. სახალხო განათლების სამინისტრომ მოიწონა აზრი სინოდის ობერ-პროკურორისა და დაადგინა, რომ ეს განკარგულება სახელმძღვანელოდ მიღებულ იქმნას ყველა სასწავლო ოლქებში.

—

მმართებლობის სხვა-და-სხვა წრეებში სჯა აღძრეს, რომ რუსეთის ქვეშევრდომ თათრების სპეციალური სკოლები დახუჭონ და სამაგიეროდ დაუწესონ რომ თათრების ბავშვებმა საზოგადო სასწავლებლებში იარონ. ამ ნაირს ცვლილებათა მოხდენას აუჩქარებლად შეუდგებიან და დაიწყებენ თათრების სამასწავლებლო სკოლებიდამ.

—

გაზ. «ოდესის ახალ ამბებში» სწერია: «ყველამ ვიცით, რომ კანაფი, თავის ძლიერი სუნის გამო, მიმხიდველია ყოველ ნაირი მწერებისა, რომელთაც იგი მეტად მოსწონთ. ამ მცენარის თვისება გამოიყენეს ზოგიერთა მეოჯახეთა. ისინი ვენახის გარშემო და ფილოქსერიან ვაზების სიახლოვეს სთესავენ კანაფს; რადგანაც ფილოქსერას მეტად მოსწონს კანაფი, ამიტომ იგი მიესევა ამ მცენარის ფესვებს; კანაფს ფესვებში და საზოგადოდაც აქვს შხამი რომელიც ფილოქსერას სრულიად ჟლეტს. და სარწმუნებელად, საჭიროა ერთი ანორი ძირი კანაფი დაითესოს ფილოქსერიან ვაზთან და ნახავთ, რომ რამოდენიმე დღეს შემდეგ ვაზები გახალისდებიან, გაცოცხლდებიან. თუ ფრთხილად ამოსთხრით კანაფს და დაათვალიერებთ, მის ქერქსა და ძირებზედ შეამჩნევთ დახოცილს პაწაწა მწერებს, რომელნიც ვაზებს ამდენს ვნებას აყენებენ. ამის ცდა ყველასათვის ადვილია.

უცხოეთი

ავღანის საქმენი.

ჩვენი მკითხველები მოგვიტანებენ თუ ჯერ-ჯერობით, სანამ ავღანის საქმენი ასე თუ ისე გადაწყდებოდენ, მხოლოდ ამ საქმეებს დავუთმოთ ხოლმე უცხოეთში ადგილი და სხვა სახელმწიფოთა ვითარება დავტოვოთ, თუ-კი ამ სახელმწიფოებში განსაკუთრებულის ყურადღების ღირსი ფაქტირამ არ აღმოჩნდა, მით უმეტეს, რომ მთელი ევროპის ყურადღება ამ საქმეებს მიუპყრიათ. სუდანისა და თონკინის საქმენი თითქოს დავიწყებას მიეცნენ.

სპარსულ გაზეთს „შემს“-ში სწერია: ავღანის ემირმა გაგზავნა ჰერათში ავღანელი გენერალი დაუ-ხანი, რამდენიმე შტაბ-აფიცრებით, რომელთაც მიანდო დახედვა და თუ საჭიროა იქმნა შეკეთება მოსამზღვრე სიმაგრეებისა. აბდურახმანმა მოახდინა აგრეთვე განკარგულება, რომ ჰერათში გაიგზავნოს 800 მეომარი. ამ ჟამად ჰერათს ამაგრებს 2,000 მეომარი.“ „დაილი ნიუსის“ კორესპონდენტი იწერება: რუსების საშუალო აზიისაკენ მოძრაობაში ისეთი საშიშარი არა არის-რა, როგორც იმიერ-ქასპიის რკინის გზა. ინგლისის აჭიცრები დარწმუნებული არიან, რომ თუ შემთხვევამ გამოიწვია, ამ გზით რუსებს ჰერათისაკენ წაწევა ფრიად გაუადვილდებათ. რუსეთს ჯერ ეხლაც, სანამ ეს გზა სრულად არ დაუსრულებიათ, ადვილად შეუძლია აუარებელი ჯარი წაასხან ამ ქალაქამდე და ეს ჯარი ინგლისის ჯარზე ბევრად ადრე მოიკიდებდა ფეხს ჰერათში. კორესპონდენტის სიტყვით იმიერ-ქასპიის რკინის გზამ სრულებით სხვა მიმართულება მისცა საშუალო აზიის საქმეთ. იყო დრო, როდესაც ყველას სჯეროდა, რომ რუსის სამფლობელო მიწებისა და ჰერათის შუა მიმოსვლა ერთობ გასაჭირი საქმეაო, როცა ჰფიქრობდენ, რომ ეს გზა დროებითიაო; მაგრამ დღეს, ჰერათისაკენ მიმავალმა გზამ გვერდი აუხვია ამ დაბრკოლებას და რუსების წინ-წაწევას თურქესტანში სულ სხვა მნიშვნელობა აქვს.

ინდოსტანის ვიცე-კოროლი დღეს უკვე გამგზავრებულა ავღანის ემირთან შესაგებებლად ქალაქს რავალპინდიში, რომელიც ინგლისის ერთის პროვინციის ადმინისტრატიულ ცენტრად ითვლება. როგორც გაზ. «სტანდარდი» იცნობება, ვიცე-კოროლისა და ემირის შეგებებაზე დაესწრებიან ბევრნი მოხელენი ინგლისისა და ინდოსტანის ადმინისტრაციისა.—ამავე გაზეთის სიტყვით ინგლისის კომისარი სერ-პიტერ ლემსდენი ამ ჟამად იმყოფება რობატის ხეობაში, რომელიც კარგა შორს მანძილზეა ჰერათიდამ. რუსებს მოეწადინათო ამ ხეობის დაჭერა და რომ ეს წადილი აღესრულებინათ, ერთი საუკეთესო გზა ჰერათისკენ ხელში ექმნებოდათო—ეს არის მიზეზი, რომ ინგლისის კომისარმა დაასწრო რუსებს და დაიჭირა ხსენებული ხეობა. გაზეთის აზრით ამ ხეობაში რუსებს წინააღმდეგობას გაუწევს ინგლისელების და ინდოსტანელების მცირე რაზმი გენ. ლემსდენის მეთაურობით, და მეორე გზის დაჭერა ჰერათისკენ თვით ავღანელებს ექნებათ მინდობილი.

„ტაიმსი“ იწერება: „მთავრობამ მიუწერა გენ. ლემსდენს გაამაგროს ავღანისტანი. ემირმა ოფიციალურად მოსთხოვა ინგლისს შემწეობა. უკანასკნელი შემთხვევანი ჰერათის მიდამოში ამართლებენ იმ ზომათა, რომელნიც ინგლისის მმართებლობამ მიიღო. თუ საჭირო იქმნა ჩვენ წავიწევთ კვეტიაკენ ანდაგარამდის და ჰერათშიაც დავტოვებთ ჯარს, თუ კი ემირი მოგვთხოვს. სანამ რუსეთი, რაც დღეს ჯარი შეუგროებია საშუალო აზიაში, მაზედ მეტის სამხედროს ძალით არ დაუწყებს მუქარას ავღანისტანს—ჩვენ დიდს წინააღმდეგობას გავუწევთ მის წინ-წაწევას იმით, რომ მივაწვდენთ ემირს ფულს, სამხედრო იარაღთა და ინგლისის აფიცრებს. და თუ რუსეთი მაინც კიდე მოიწადინებს უთანხმოების ჩამოგდებას—ჩვენი სამხედრო ძალა ავღანისტანის გარდა, სხვაგანაც ამოკოფს თავს. რუსეთს ცოტა არა აქვს მისადგომი პუნკტები.»

„Journal des Débats“-ს მიუღია ლონდონიდამ წერილი რომელშიც, სხვათა შორის, მოხსენებულია შემდეგი: ინდოსტანის ვიცე-კოროლის ლორდ დეფერინის მეცადინეობით და სერ-ლემსდენის დახმარებით, ლეოლით გაიგეს ის შიში, რომელიც ავღანისტანს კარს ადგა. ლორდ დეფერინი არ დაიყოვნებს, სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი მისცეს მთავრობას, თუ რომ კაბინეტმა არ იხელმძღვანელა ენერგიულის პოლიტიკით და არ დაიცვა ავღანელებისადმი მიმართულნი მოვალეობანი. ამ გვარივე დათხოვნის ქაღალდი უკვე წარუდგენია სერ-ლემსდენს და მხოლოდ იმ შემთხვევაში წავიღებ ამ ქაღალდს უკანაო, თუ ლორდ დეფერინისაგან ნაჩვენებს მიმართულებას არ გადუხვევს კაბინეტიო. დღეს არა—ხვალ ომია მოსალოდნელი და ჭეშმარიტად გასაკვირველია ის რწმუნება და სიმშვიდე გულისა იმ პირთა, რომელნიც პასუხის მგებელნი არიან ინგლისის წინაშე. რაც შეეხება პალატის წევრთ, ზღვის მოხელეთ, ვაჭართ და მოხელე ხალხს ყველას სჯერა, რომ ინგლისი თავისას გაიტანს რუსეთთან შეტაკებით.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“.

მარტის 9-ს.

პეტერბურგი. მარტის 4-ს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათა რჩევაში ფინანსთა მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც გამოხატა, რომ 1881 წლისათვის სახელმწიფო ვალის დავთარში ჩაწერილია: 82.495000 ოქროს. გულდენი, 44.460,020 გირვ. სტერლინ., 118.772,030 მან. მეტალ. და 1.348.410,970 მან. 85 $^5/_7$ კაპ. კრედ. ბილ., 1883 წ. დარჩა: 78,240,000 გულდენი 43.095,560 გირვ. სტ., 115.553,630 მეტალ. მან. 1.421.883,430 კრედ. მან. 85 $^5/_7$ კაპ., ხაზინის ყველა ვალების ჯამი, რომელიც ვალის დავთარში ჩაუწერელია, 1883 წ. შეადგენდა: 282.505,930 მან. კრედ., 68.167,250, გირვ. სტერ. და 149.467,250 მან. მეტალ. სახელმწიფო ხაზინის ვალი 1883 წელს სულ არის 710,336,374 მან. მეტალ. და 471.540,436 მან. კრედიტისა.

მოსკოვი. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა იშუამდგომლოს მმართებლობასთან, რომ ქალაქს მიეცეს 300,000 მან. ხოლერასთან საბრძოლელ ზომების მისაღებად, თუ ეს სენი იქ გამოჩნდა.

სტოკჰოლმი. პალატამ უარ-ჰყო ის წინადადება, რომლის ძალითაც შემოსატანელ სიმინდზე ბაქის დადებას აპირობდენ.

სუაკიმი. ხუთს საათს გაგრძელებულ ომის შემდეგ ყველა ადგილები, რომელნიც ოსმან-დეგმის ჯარს ეჭირა ხასკეენის ახლოს; ინგლისელებმა დაიპყრეს ოსმან-დიგმას დიდი ზარალი მიეცა.

ლონდონი. გრაამი იცნობება, რომ ინგლისელები დილით ადრე სუაკიმიდამ გავიდენ და მტერი კორდებზედ დაჭერილ ადგილებიდამ განდევნეს; მტერი, რომლის რიცხვი 4000 კაცამდე იყო, უკუ-იქცა თამაიში; დაცლილს ადგილზედ ინგლისელებმა დასტოვეს ერთი ბატალიონი მეომარი ექვსის ზარბაზნით; დანარჩენი ჯარი-კი სუაკიმშივე დაბრუნდა. ამ შეტაკების დროს ინგლისელებს 9 კაცი მოუკვდათ და 28 დაეჭრათ. მტერს-კი დიდი ზარალი მიეცა.

ხარკოვი: განჩინება შესახებ ტაგანროგის დამოკნისა ხვალ უნდა გამოცხადდეს.

მარტის 10 ს.

პარიჟი. სენატმა მიიღო 1885 წლის ხარჯთა-აღრიცხვა იმ სახით, როგორც პალატამ წარმოადგინა, რადგანაც ფერიმ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ცხადად გამოხატა, რა ცუდი შედეგი ექნებოდა პალატასთან შეტაკებას.

დეპუტატთა პალატამ მიიღო პირველი და უმთავრესი მუხლი იმ კანონ-პროექტისა, რომელიც შეეხება პარლამენტის ამორჩევას დეპარტამენტების სიებით.

ცეტინიე. აქ მოვიდა ავსტრიის მემკვიდრე პრინცი მეუღლითურთ. მთავარი და მინისტრები მიეგებნენ სამზღვარზე; ხალხიც სიამოვნებით მიეგება.

ბელგრადი. უნდა შესდგეს 5 ახალი ბატალიონი, რომელნიც შეადგენენ ცალკე გვარდიის პოლკს.

ბერლინი. რადგინაც იმპერატორი ცოტა შეუძლოთ არის დღეს, — თავის დაბადების დღეობის გამო, მან მიიღო მილოცვა მხოლოდ სახემწიფო გვარის წევრებისაგან, უცხო ქვეყნის მადალ პირებისგან, თავადის ბისმარკისაგან, რომელიც ხალხმა დიდის აღტაცებით გააცილა სასახლემდის და აგრეთვე იქიდამ რომ გამოდიოდა; მინისტრები, ელჩები, მაღალნი პირნი ხელს აწერენ ცალკე წიგნში. ქალაქი მშვენივრად არის მორთული ბაირაღებით და დეკორაციებით; ქუჩები ხალხით არიან სავსე; საღამოს ჩირაღდნებს აანთებენ; სასახლის თეთრ დარბაზში საღამო იქნება გამართული, რომელზედაც მიწვეულნი არიან 900 პირი. ყველა დიდი ქალაქებიდან მიღებულია მილოცვის ტელეგრამები.

შანჰაი. ბრიტანიის ელჩი პეკინში გარი პარკსი გარდაიცვალა.

მარტის 11-ს.

პეტერბურგი. გუშინ იმპერატორის ვილჰელმის დაბადების დღეს გატჩინოს სასახლეში საპარადო სადილი იყო გამართული და დღეს საპარადო სადილსვე გერმანიის ელჩი მართავს, რომელზედაც დაესწრობიან გარეშე საქმეთა მინისტრი და უცხო ქვეყნების ელჩები.

ფინანსთა სამინისტრო შინჯავს პროექტს თუ რა ბაჟი უნდა დაედოს თეჯს, რკინას და ფოლადს როგორც შეუმუშავებელს, ისე იმათგან გაკეთებულს ავეჯეულობას.

რომი. საადგილ-მამულო საგანზედ ბაასის დროს დეპრეტისმა წარმოსთქვა, რომ ხორბალზედ ბაჟის მომატება სასარგებლო არ იქნებაო.

ცეტინიე. ავსტრიის მემკვიდრე პრინცის პატივის საცემლად გამართულს საპარადო სადილზედ პრინცმა დალია სადღეგრძელო ჩერნოგორიის მთავრისა, მისი მეუღლისა და 8 ჩერნოგორიის სახელ-განთქმულის ხალხისა.

სუაკიმი. გუშინ ინგლისის რამდენიმე ქვეითი პოლკი კავალერიითა და არტილერიითურთ გაემართნენ თამაისკენ სიმაგრეთა ასაშენებლად; მტერი ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ ინგლისელებმა განდევნეს და დიდი ზიანიც მისცეს.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შელაეთისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კოროლნა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1885 წ.

გამომტხვარი შური რუსეთის ფქვილისა	—	—1	გირ. 5 ბ.
აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა	—	—1	ბ. $2^1/_2$
მეორისა	—	—1	ბ. 2 ბ.
იმავე ფქვილ. თორნეში გამომტხვარი:			
პირველი ხარისხის	—1	ბ.	$4^1/_2$
მეორისა	—1	ბ.	3 ბ.
მესამისა	—1	ბ.	$2^1/_2$
ჯვარის-მამი შური:			
პირველი ხარის. ლავაში	1	ბ.	$4^1/_2$
მეორის ხარის. ლავაში	1	ბ.	$3^1/_2$
მესამისა	—1	ბ.	3 ბ.
ძრწის ხორცი:			
პირველის ხარისხისა	—1	ბ.	8 ბ.
მეორისა	—1	ბ.	7 ბ.
სუკი	—1	ბ.	15 ბ.
ცხვრის ხორცი	—1	ბ.	9 ბ.
ღორის ხორცი:			
პირველის ხარისხისა	—1	ბ.	
მეორისა	—1	ბ.	

რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო საშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ ტ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო საშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დამ.)

განცხადებანი

დაყიდვა

ნახევარ ფასად: ტანისამოსი, ქუდები, ჩოთქები, პენალები, კრავატები, ნიჩბები, სურათები, საფხეკი, სახეხი, ჭადრაკი, პორტსიგარები, სალესავი და სხვ. და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.** (10—6)

გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
ისყიდება ახლად დაბეჭდილი
ქართული მოძრავი ასოები
შედ. ალექ. მირიანაშვილისაგან.
ფასი ყუთით ერთი მანათი. ცალკე ფურცლები თითო შაური. (3—1)

საქართველო-იმერეთის უწმინდესი სინოდის მმართველობის თან დასწრებით აპრილის 8 ს დანიშნულია ხელ-ახალის ვაჭრობით, **იჯარით** გაცემა **საძოვარი ადგილისა** ციონე-ნათლის მცემლის უდაბნოში, **ყრაიაზში.** ვისაც იჯარით აღება ჰსურს ზემოხსენებული საძოვარი ადგილისა, შეუძლიან გამოცხადდეს სინოდის სამმართველოში, ანუ გამოგზავნოს დანიშნულ დროისათვის, დილის ათს საათისათვის, დაბეჭდილნი განცხადებანი საჭირო გირაოთი, საკრედიტო დაწესებულებათა ბილეთებით და თავის წოდების მოწმობით. პირობათა შეკრა სინოდის სამმართველოში მსურველებს შეუძლიანთ ყოველ დღე, კვირა უქმე დღეებს გარდა, დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდე. (3—3)

ეკვა მოკვლა
ს. სიუ და კო.
(Ц. 2592). (46—5)

გამოვიდა და ისყიდება
ზღაპრული პოემა გ. წერეთლისა
ლდა-ვასი

გამოცემა «ნობათი»-ს რედაქციისა, ვენაში და პეტერბურღში ციონკოგრაფიით დამზადებულის სურათებით. ფასი ყველგან სამი მანეთი.

ისყიდება: თბილისში — «ნობათი»-ს რედაქციაში, **გ. ჩარკვიანის** წიგნის მაღაზიაში, **ვ. შავერდოვის** სააგენტოში და ქუთაისში — ძმ. ჭილაძეთა წიგნის მაღაზიაში. **გორში** — ს. მგალობლიშვილისას. **თელავში** — ივ. როსტომაშვილისას. **ბათუმში** — მოსე ნათაძისას.

ვინც პირ-და-პირ «ნობათი»-ს რედაქციიდამ ათს ეგზემპლიარს დაიბარებს, წიგნი ეღირება ათი შაური. (10—9)

Дозв. ценз. Тифлисъ, 11 Марта 1885 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. **გამომტემელი** გ. ქართველიშვილი. **რედაქტორი** ი. მაჩაბელი.